რომი მეფობის ეპოქაში

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება: გაეცანით **სამუშაო ფურცელში N1** მოცემულ მონაკვეთებს (შეკითხვიდან - შეკითხვამდე; დავალებიდან - დავალებამდე) და იმსჯელეთ მოცემული პრობლემების შესახებ.

სამუშაო ფურცელი N 1

რომი მეფობის ხანაში (ძვ.წ. 753 – 509 წ.წ.)

რომაული ცივილიზაცია თავისი ხასიათით ბევრ რამეში ჰგავს ძველბერძნულს. ამიტომაც ისტორიკოსთა შორის დიდი ხანია მიმდინარეობს კამათი: არსებობს თუ არა დამოუკიდებელი რომაული ცივილიზაცია? ზოგიერთი ცნობილი მეცნიერი ამ კითხვას უარყოფითად პასუხობდა. პირველყოვლისა, მათ შორის იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსი ო. შპენგლერი (1880-1936) და ისტორიკოსი ა. ტოინბი, რომლებიც თვლიდნენ, რომ რომის ისტორია - ესაა მხოლოდ ბოლო სტადია ბერძნულ-რომაული (ანტიკური) ცივილიზაციისა. ისინი ვერ ხედავდნენ რომის სულიერი კულტურის ორიგინალურობას, უწოდებდნენ მას ბერძნულის წამბაძველს და ძალზედ უტილიტარულს. მათი აზრით, რომაელთა მთავარი მიღწევა ტექნიკაში, გამოყენებით მეცნიერებებში, კანონმდებლობაში იყო, ხოლო ლიტერატურა, ხელოვნება, ფილოსოფია მთლიანად ბერძნული კულტურის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

სხვა ისტორიკოსები, და ისინი უმრავლესობას შეადგენენ, ამტკიცებენ, რომ რომმა შექმნა საკუთარი ორიგინალური ცივილიზაცია, ფასეულობათა თავისებური სისტემა და სახელმწიფოებრიობა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება ძველბერძნულისაგან. კულტურის ის მახასიათებლები, რომლებსაც ო. შპენგლერი და ა. ტოინბი გადაშენების გზაზე მდგომად თვლიდნენ, შეფასებულია სხვაგვარად - რომის ცივილიზაციის განვითარების განსაკუთრებულ მიმართულებად.

შეკითხვა: თქვენი აზრით და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, რომაული ცივილიზაცია იყო ორიგინალური თუ ბერძნულის წამბაძველი? პასუხი დაასაბუთეთ.
მასწავლებელთა საყურადღებოდ: მასწავლებელი უნდა შეეცადოს, ამ შეკითხვაზე მოსწავლეებმა რაც შეიძლება დეტალური განხილვა მოაწყონ და პედაგოგის ხელშეწყობით წარმართონ დისკუსია.

იტალიისა და საბერძნეთის ქალაქების დაარსებასა და განვითარებას მრავალი საერთო ნიშან-თვისება ახასიათებდა. ძვ. წ. VIII - VI სს.-ში ბერძნებმა მოახდინეს იტალიის სანაპიროების კოლონიზაცია და სამხრეთ იტალიაში დააარსეს ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები - ნეაპოლი და სირაკუზი, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზში მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრებად იქცნენ. ამან დიდი გავლენა მოახდინა იტალიაში მცხოვრებ ტომობრივ გაერთიანებებზე.

იტალიის ჩრდილოეთში (ახლანდელი ტოსკანის ტერიტორიაზე) სახლობდნენ ეტრუსკები. ზუსტად არაა დადგენილი თუ სადაური წარმოშობის ტომები იყვნენ ისინი. ვარაუდობენ, რომ როგორც დორიელები, ისინიც "ზღვის ხალხებს" მიეკუთვნებოდნენ და აღმოსავლეთიდან მოვიდნენ, ადგილობრივი მოსახლეობის დამორჩილების გზით.

შეკითხვა: თქვენი აზრით და წინარე ცოდნიდან გამომდინარე, ვინ იყვნენ „ზღვის ხალხები" და რა როლი შეასრულეს მათ ისტორიაში?

მასწავლებელთა საყურადღებოდ: თუ მოსწავლეები ვერ გაიხსენებენ „ზღვის ხალხების" როლს ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში, მაშინ პედაგოგები უნდა დაეხმარონ მათ ამ მოვლენის გახსენებაში.

დღემდე არაა გაშიფრული ეტრუსკული დამწერლობა. არქეოლოგიური გათხრები ცხადყოფს, რომ ეს იყო საკმაოდ განვითარებული ცივილიზაცია, რომელიც მოიცავდა არანაკლებ 12 ქალაქს, რომლებიც აქტიურ სავაჭრო საქმიანობას ეწეოდნენ ხმელთაშუა ზღვის აუზში. ეტრუსკებში განსაკუთრებულ როლს თამაშობდნენ ტომის წარჩინებულები. არსებობს ჰიპოთეზა, რომ მათი ქალაქ-სახელმწიფოების მოწყობა ძლიერ წააგავდა სპარტის სახელმწიფო წყობას.

დავალება: დაახასიათეთ სპარტის სახელმწიფო მოწყობა.

მასწავლებელთა საყურადღებოდ: თუ მოსწავლეები ვერ გაიხსენებენ სპარტის სახელმწიფო მოწყობას, მაშინ პედაგოგები უნდა დაეხმარონ მათ ამ მოვლენის გახსენებაში.

ჩვ. წ-დე 753 წ. ლათინების სამმა ტომმა, რომელიც მდინარე ტიბრის მიდამოებში ცხოვრობდა, დააარსა ქალაქი რომი.

ლეგენდის მიხედვით, რომი დააარსა ტროას ომის გმირის ენეოსის შთამომავალმა რომულუსმა, რომელიც ძმასთან - რემუსთან ერთად, ჩვილობის ასაკში, გადაურჩა მკვლელებს და რომელიც ძუ მგელმა გამოზარდა. შემდეგში რომულუსი წაეჩხუბა ძმას, მოკლა რემუსი და მეგობრებთან ერთად დასახლდა პალატინის ბორცვზე.

თავდაპირველად, ათენის მსგავსად, რომის საზოგადოებრივი ცხოვრებაც აგებული იყო გვაროვნულ-ტომობრივ ტრადიციებზე. მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენდა სენატი (ლათინურიდან - "სენეხ" - "მოხუცი" - უხუსეთა საბჭო), რომელიც 300 კაცისაგან შედგებოდა, იმ გვარების უხუცესებისაგან, რომლებმაც ქალაქი დაარსეს. ტომების რიგით წევრებს, რომლებიც გვარის მიხედვით თემებში იყვნენ გაერთიანებულნი, ასევე უფლება ჰქონდათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება განსახილველ საკითხებზე. უმაღლეს მმართველს წარმოადგენდა არჩეული მეფე, რომელსაც ქვეყანა უნდა ემართა ტრადიციებისა და სენატის ნების მიხედვით. ძვ.წ. 616 წლიდან მეფეებად ირჩევდნენ ეტრუსკული დიდგვაროვანი ოჯახის ტარკვინიუსების წარმომადგენლებს, რაც ხაზს უსვამდა ეტრუსკების განსაკუთრებულ როლს იტალიაში.

ქალაქის დამაარსებლების ჩამომავლები თავის თავს უწოდებდნენ პატრიციებს ("პატრეს"-"მამები"). მათ ეკუთვნოდათ ქალაქის ირგვლივ მდებარე მიწები. ამ მიწებს ამუშავებდნენ ცალკეული ოჯახები, რომლებშიც პატრიარქატის სასტიკი პრინციპები მოქმედებდა: მთელი ქონება ეკუთვნოდა ოჯახის უფროსს, რომელსაც ოჯახის ნებისმიერი წევრის დასჯა და მონად გაყიდვა შეეძლო სულ უმნიშვნელო დანაშაულისათვისაც კი. იმავე დროს მიწა რომაელთა საერთო საკუთრებად ითვლებოდა, იგი არ შეიძლებოდა უცხოელთა საკუთრება ყოფილიყო. რამდენადაც რომი ხშირად ეომებოდა მეზობელ ტომებსა და ქალაქ-სახელმწიდოებს, მიწების რაოდენობა, რომლებიც პატრიციების ხელში იმყოფებოდა, განუწყვეტლივ იზრდებოდა.

მოსული მოსახლეობა, სხვა ტომების წარმომადგენლები, რომლებიც რომში სახლდებოდნენ, პლებეებად იწოდებოდნენ. მათ არ ჰქონდათ უფლება მონაწილეობა მიეღოთ ქალაქის ცხოვრებაში, ხოლო სამხედრო სამსახურის დროს დასაქმებულები იყვნენ დამხმარე რაზმებში. მათ მფარველობა უნდა ეთხოვათ პატრიციებისათვის, უნდა გამხდარიყვნენ მათი "კლიენტები" და მიეღოთ სამუშაო მათ მეურნეობებში, ყოფილიყვნენ ხელოსნები და ვაჭრები.

ღარიბი რომაელები, რომლებსაც იარაღის შეძენა არ შეეძლოთ, ერთიანდებოდნენ რაოდენობის მიუხედავად, "პროლეტარების"(ლათ. სიტყვიდან პროლეს" - "შთამომავლობა") ცენტურიაში. იგულისხმებოდა, რომ ისინი მხოლოდ გამრავლებისათვის ვარგოდნენ.

დავალება: ტექსტზე დაყრდნობით იმსჯელეთ, პატრიციებისა და პლებეების უფლებებისა და ურთიერთობების შესახებ.

გვაროვნულ-ტომობრივი ტრადიციები ზღუდავდა მეფის ხელისუფლებას. სერვიუს ტულიუსის (ჩვ. წ-დე 578-534 წწ.) დროს გატარდა რეფორმები, რომლებიც ათენში სოლონის (ძვ.წ. 638 – 558 წ.წ.) რეფორმებს ჰგავდა და სერიოზულ დარტყმას აყენებდა გვარების წარჩინებულთა პრივილეგიებს.

ჩანართი - სოლონის რეფორმა:

სოლონმა მოქალაქეების დახარისხება დაიწყო არა მათი წარმოშობის მიხედვით, არამედ მათი ქონებრივი ცენზის მიხედვით (ტიმოკრატია) და დაყო ოთხ ჯგუფად:

- ***I - მსხვილი მონათმფლობელები, მსხვილი ვაჭრები*** *- მათი უფლებები: მაღალი თანამდებობა; მათი მოვალეობები: მაღალი სახელმწიფო გადასახადები.*
- ***II - შეძლებული გლეხობა და ვაჭრები*** *- მათი უფლებები: საშუალო თანამდებობა; მათი მოვალეობები: ცხენოსანი ჯარისკაცი.*
- ***III - ღარიბი გლეხობა, ხელოსნები და მეთევზეები*** *- მათი უფლებები: სახალხო კრებაში მონაწილეობა; მათი მოვალეობები: ქვეითი ჯარისკაცი.*
- ***IV - დაქირავებული მუშები*** *- უუფლებოები - მოვალეობები: მეზღვაურები და მსუბუქად აღჭურვილი ჯარისკაცები.*

რაც შეეხება სერვიუს ტულიუსის რეფორმას, ის შემდგომში მდგომარეობდა: სერვიუსმა ჩამოაყალიბა მოსახლეობის ქონებრივი ცენზით დაყოფა. ეს მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან მანამდე მოვალეობების დაკისრება ხდებოდა თითოეულ მოსახლეზე ინდივიდუალურად, ახლა კი - ქონებრივი ცენზის მიხედვით.

- * მათგან, ვისი ქონებაც 100 000 აღემატებოდა, სერვიუსმა 80 ცენტურიონი ჩამოაყალიბა, 40 უფროსი ასაკის, 40 - უმცროსის (უფროსის ასაკი — 46-60 წელი, უმცროსის — 18-45). უფროსებს ქალაქის თავდაცვაზე უნდა ეზრუნათ, ხოლო უმცროსები ქალაქის გარეთ საომარ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყვნენ. იარაღით მათ საკუთარი თავი თვითონ უნდა უზრუნველეყოთ. ორი ცენტურიონი იარაღის გარეშე იყო, მათ საომარი მანქანები უნდა მიეწოდებინათ ჯარისთვის.
- * მეორე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვისი ქონებაც 75 000-დან 100 000 ასამდე იყო. მათგან, უფროსებისგან და უმცროსებისგან, იქმნებოდა ოცი ცენტურიონი. შეიარაღება - პირველ კატეგორიაზე ცოტა მსუბუქი.
- * მესამე კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ ისინი, ვისი ქონებაც 50 000 აღემატებოდა. მათგანაც ოცი ცენტურიონი ჩამოყალიბდა. შეიარაღება - იგივე.
- * მეოთხე კატეგორიის ცენზი იყო 25 000 მეტი. მათგანაც ოცი ცენტურიონი ჩამოყალიბდა. შეიარაღებიდან მხოლოდ შუბი უნდა ჰქონოდათ.
- * მეხუთე კატეგორიის ცენზი 11 000 იყო. მათგან 35 ცენტურიონი ჩამოყალიბდა. მეომრებს მხოლოდ სატყორცნი ქვები უნდა ჰქონოდათ.

ვინც ამ ხუთ კატეგორიაში ვერ შევიდა (პროლეტარები), ისინი სამხედრო სამსახურისგან თავისუფლები იყვნენ. ამ სისტემამ გაიუს მარიუსის (I საუკუნის რომაელი მხედარმთავარი და არმიის რეფორმატორი) სამხედრო რეფორმამდე იმუშავა. ზემოთ ხსენებული ცენტურიონების გარდა სერვიუსმა ჩამოაყალიბა 12 ცხენოსანთა ცენტურიონი. ცხენოსნებს სახელმწიფო ხაზინიდან გამოეყოთ 10 000 ცხენების შესაძენად. ცხენების შენახვა გაუთხოვარ ქალებს ევალებოდათ; ამ მიზნით მათ ხაზინაში ყოველწლიურად 2000 უნდა შეეტანათ.

ამრიგად, ღარიბი მოსახლეობის მაგიერ ჯარი მდიდრებს უნდა შეენახათ. ქონებრივი ცენზი, სამხედრო მოვალეობის შესრულების გარდა, ხმის მიცემის სისტემასაც შეეხო. ადრე ყველას ერთნაირად ჰქონდა კენჭისყრის უფლება, ახლა კი ჯერ ცხენოსანთა ცენტურიონი იყრიდა კენჭს, შემდეგ პირველი კატეგორიის ოთხმოცი ცენტურიონი, თუ მათი აზრები არ ემთხვეოდა, მაშინ კენჭს მეორე კატეგორიის ცენტურიონები იყრიდნენ და ა.შ. ყველაზე ქვედა ფენამდე კენჭისყრა თითქმის ვერასდროს აღწევდა.

მეფემ ქალაქი დაყო ოთხ ნაწილად — ტრიბებად. ისტორიკოსი ფლავიუს პიქტორიუსის ცნობებით, მოსახლეობის აღწერისას 80 000 ბრძოლისუნარიანი მამაკაცი გამოვლინდა. მოსახლეობის მატებასთან ერთად გაიზარდა ქალაქის საზღვრებიც.

რომის სახელმწიფო საკმარისად იყო იარაღის ძალით გამაგრებული, მაგრამ სერვიუსმა ჩათვალა, რომ კულტურულადაც უნდა გაემაგრებინა ის. მან ლათინურ ქალაქებთან კავშირის აღსანიშნავად ააგო ქალღმერთ დიანას ტაძარი რომში. ამით რომი უკვე უდავო ლიდერი გახდა ლაციუმში.

შეკითხვა: რამდენად პროგრესულად მიგაჩნიათ სერვიუს ტულიუსის რეფორმები? შეადარეთ ერთმანეთს სერვიუს ტულიუსისა და სოლონის რეფორმები? რა განსხვავება და მსგავსება იყო მათ შორის?

მასწავლებლების საყურადღებოდ: მოსწავლეებმა ერთმანეთს უნდა შეადარონ ძვ.წ VI საუკუნეების რომისა და ათენის საზოგადოებები. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გაამახვილონ იმ ფაქტზე, რომ რომაული საზოგადოება - უპირატესად მიწათმოქმედი და პატრიარქალური საზოგადოება იყო, ხოლო ათენის საზოგადოება მეტწილად მაინც ვაჭრობასა და კომერციას მისდევდა, რაც თვალნათლივ ჩანს ზემოთ მოცემულ სოლონის რეფორმებში. პედაგოგებმა რაც შეიძლება დაწვრილებით უნდა ამსჯელონ მოსწავლეები ამ საკითხებზე.

გვარების წარჩინებულთა ინტერესების შებღალვამ გამოიწვია მათი მხრიდან წინააღმდეგობა. ტულიუსი მოკლეს, ხოლო ახალმა მეფემ, ტარკვინიუს ამაყმა, რეფორმები გააუქმა. ახალი მეფის მმართველობის ტირანულმა ხასიათმა გამოიწვია სენატის ამბოხება და ჩვ. წ-დე 509 წ. იგი რომიდან განდევნეს.

შეკითხვა: მეფობის გაუქმება რომში იყო ისტორიული პროცესის ლოგიკური შედეგი თუ რომაული საზოგადოების მიერ მიღებული სპონტანური გადაწყვეტილება? რომ არა ტარკვინიუს ამაყის ტირანული ხასიათი, დარჩებოდა თუ არა რომი მეფეების მმართველობის ხელში?

დავალება: სქემის მიხედვით - **მმართველობის სისტემა მეფობის ხანაში** - დეტალურად აღწერეთ რომის მმართველობის სისტემა. იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამებოდა ეს მმართველობა თქვენთვის ნაცნობ მონარქიულ მმართველობით სისტემებს. დაასახელეთ მსგავსება / განსხვავება.

შენიშვნა: სქემაში ნახსენები ცენტურიონი ნიშნავდა ქვეით ასეულს და მის მეთაურს, ხოლო დეკურიონი ცხენოსანთა დანაყოფის მეთაურს, რომელიც 30 ცხენოსნისგან შედგებოდა.